2554067
11/14273731-17
10.10.2014

GRASS ააიპ "საქართველოს რეფორმების ასოციაცია" (-406077579),
ქ.თბილისი რაზმაძის ქ.#15

ბატონო სერგი,

ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოსული 2014 წლის 30 სექტემბრის N11/14273731-17 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო დაფუძნდა 2011 წელს, შესაბამისად 2004-2011 წლებში დახურულ საბავშვო ბაგა-ბაღებზე სააგენტო ინფორმაციას არ ფლობს.

დღევანდელი მდგომარეობით ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო“-ს დაქვემდებარებაში იმყოფება 159 (ასორმოცდაცხრამეტი) ერთეული საბავშვო ბაგა-ბაღი, 2011 წლიდან 2014 წლამდე კი იყო 157 (ასორმოცდაჩვიდმეტი) ერთეული ბაგა-ბაღი. 2011 წლიდან 2014 წლამდე დაემატა 2 (ორი) ერთეული საბავშვო ბაღი (N12 და N15).

ვინაიდან ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო“ დაფუძნდა 2011 წელს, მოთხოვნილ ინფორმაციას მომსახურების მიმღები ბავშვების მიახლოებითი რაოდენობის შესახებ გაწვდით მოცემული პერიოდიდან.

2011 წელი 42640 აღსაზრდელი
2012 წელი 42715 აღსაზრდელი
2013 წელი 48300 აღსაზრდელი
2014 წელი 51700 აღსაზრდელი

თბილისის საბავშვო-ბაგა ბაღების დაფინანსება ქ. თბილისის ბიუჯეტიდან კაპიტალური ხარჯების გარეშე 2011 წლიდან 2014 წლის ჩათვლით ასე გამოიყურება:

2011 წელი 26 871 000,00 ლარი მშობლების დაფინანსების გარდა
2012 წელი 27 987 000,00 ლარი მშობლების დაფინანსების გარდა
2013 წელი 49 230 000,00 ლარი სასწავლო წლის ნახევარი მშობლების თანადაფინანსების გარდა.
2014 წელი დაახლოებით 60 000 000,00 ლარი მთლიანად ქ. თბილისის ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნება.

ქ. თბილისში არსებული კერძო საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის საკითხები და რეგულაციები ააიპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო“-ს კომპეტენციას არ განეკუთვნება.

დანართის სახით გიგზავნით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას ქ. თბილისის ბიუჯეტიდან 2006-2014 წლებში სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებზე გაწეული ხარჯების შესახებ.

დანართი: 1 ფურცელი

პატივისცემით,

თბილისის მუნიციპალიტეტის მერია / ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახური / საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და ეფექტური საჯარო მმართველობის მხარდაჭერის განყოფილება

საქალაქო სამსახურის განყოფილების უფროსი ილია გელაშვილი

თბილისი 0160, შარტავას ქუჩა №7, ცხელი ხაზი: (99532)2722222
TBILISI.GOV.GE